



Crowe GE LLC

Axis Business Palace, 4th floor
2, D. Gamrekeli Str.,
Tbilisi 0160, Georgia
Main +995 32 290 45 22
www.crowe.ge

შპს L-ჯორჯია

**ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2020წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	8
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12
1. ზოგადი ინფორმაცია	12
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	12
3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები	15
4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.....	16
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
6. ძირითადი საშუალებები	17
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	18
8. პროცენტის და სესხის ვალდებულებები.....	18
9. ამონაგები	18
10. საოპერაციო ხარჯები	19
11. ფინანსური მოგება.....	19
12. ფინანსური ხარჯები	19

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს L-ჯორჯიას დირექტორს და მფლობელებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს L-ჯორჯიას („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღებით დამთავრებული წლების სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის შესაძლო გავლენისა შესაბამისი ციფრებზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს L-ჯორჯიას ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენი კომპანია არ იქნა დანიშნული აუდიტორად 2019 წლის 31 დეკემბრამდე და ამრიგად, არ მოგვეცა საშუალება დავკვირვებოდით სასაქონლო-მატერიალური მარაგების დათვლას წლის ბოლოს. ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული გზით გადაგვემოწმებინა მარაგების სიზუსტე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია შემდეგი რიცხვით 10,125,488 ლარი. შესაბამისად, ჩვენი აუდიტორული მოსაზრება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე მოდიფიცირებულია. მოდიფიცირებულია აგრეთვე ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზეც, ამ საკითხის გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე პერიოდის ციფრებისა და შესაბამისი ციფრების შესადარისობაზე.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ

დამოუკიდებლობის ვართ შპს L-ჯორჯიას-გან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს პროფესიული ბუღალტრებისთვის; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

როგორც აღვნიშნეთ პირობითი მოსაზრების საფუძველებში, ჩვენ არ დავსწრებივართ სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას 2019 წლის 31 დეკემბრის თარიღისთვის, შემდეგი რიცხვით 10,125,488 ლარი. ჩვენ ვასკვნით, რომ სადაც სხვა ინფორმაცია ეხმიანება სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთებს ან მასთან დაკავშირებული ნაშთებს, როგორცაა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, შეიძლება არსებითად არასწორად შეფასდეს იმავე მიზეზით.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას.

გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველებში ასახული საკითხისა, ჩვენ დავადგინეთ, რომ ჩვენს ანგარიშში არ არსებობს სხვა აუდიტის ძირითადი საკითხები.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი

აუცილებლად მიიჩნევა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავვეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და

არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს კომპანიაში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და,

მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორი ალექსანდრე სხილაძე.

ალექსანდრე სხილაძე

პარტნიორი

Crowe GE LLC

16-სექტემბერი-2021



შპს "L-ჯორჯია"

24 სექტემბერი, 2021

მმართველობითი ანგარიშგების უწყისი

ძვირფასო ბატონო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2021 წლის 23 სექტემბერს გაცემულ „მმართველობით ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2021 წლის 23 სექტემბრით გამოცემულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში 2021 წლის 16 სექტემბერს, არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას.

აუდიტორული დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებებზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2021 წლის 16 სექტემბრის შემდეგ. მმართველობით ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულია ჩვენს მიერ.

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

პატივისცემით,

A. Khiladze

ალექსანდრე სხილაძე

პარტნიორი

Crowe GE LLC



შპს "L-ჯორჯია"
საქართველო, ბათუმი, ს/კ 245444005
იურ.მის: ქ.ბათუმი, ტბეთის ქ.5
ტელ: +995577207050

შპს L-ჯორჯია

მმართველობითი ანგარიშგება

შ.პ.ს. L-ჯორჯია დაფუძნებულია 2004 წლის 19 ივლისს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება იურდიული მისამართით ქ.ბათუმი ტბეთის ქ.5 ძირითადი სააქმიანობა ვაჭრობა კვე პროდუქტებით, ჩვენ პროდუქციის შემსას ვახდენთ როგორც იმპორტით ასევე ადგილობრივ ბაზარზე

შ.პ.ს. L-ჯორჯია თანამშრომლობს თითქმის ყელა კომპანიასთან საქართველოში, კომპანიას ექსპორტ ჯერჯრობით არ აქვს, კომპანია მუშაობს ნებისმიერი ბიზნესის მასშტაბის პარტნიორებთან.

ბრუნვა:

2018 წელი 44534630 ლარი;
2019 წელი 61170485 ლარი;
2020 წელი 61040342 ლარი;

აქტივები:

2018 წელი 8839310 ლარი;
2019 წელი 14646433 ლარი;
2020 წელი 10081444 ლარი;

გაყიდვების ანალიზი ბრუნდების მიხედვით 2020 წელი

შაქარი	87%
ხორბლის ფქვილი	0,5%
ზეთი	0,2%
წიწიბურა	0,2%

ძარგარიხი

0,2%

დანარჩენ სახვა კვების პროდუქტები 11,9%,

რისკები

კომპანია საქმიანობს საქართველოში, კომპანიის საქმიანობის მომგებიანობასა ფინანსურ მდგრადობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

1. ადგილობრივი სავალიუტო ბაზრის არასტაბილურობა;
2. საბაზრო რისკები;
3. ქვეყნის შიდა არასტაბილურობა;
4. კონკურენცია.

CVD-19

ზოგადად პანდემიამ გარკვეული ზეგავლენა მოხდინა გაყიდვებზე მათი შემცირების კუთხით.

სამომავლო გეგმები

2021 სამეურნეო წელს კომპანია თუ კი პანდემია მოგვეცემს ამის საშვალრებას შეეცდება გაზარდოს გაყიდვები და მიმოოს ახალი კლიენტები.

შ.პ.ს. L-ჯორჯია

დირექტორი

5.3



დავით ფუტყარაძე

23 სექტემბერი 2021 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერი

		2020	2019
	შენ	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
აქტივები			
მიმდინარე აქტივები:			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	4	6,750	191,504
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,586,038	934,061
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		3,140,065	10,125,488
გადახდილი ავანსები		5,307,058	3,342,659
სულ მიმდინარე აქტივები:		10,039,912	14,593,711
ძირითადი საშუალებები	6	41,308	52,240
არამატერიალური აქტივები		225	481
სულ		10,081,445	14,646,432
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	517,954	770,584
გადასახადები		332,173	-
პროცენტის და სესხის ვალდებულებები	8	3,142,214	3,333,523
სულ მიმდინარე ვალდებულებები:		3,992,340	4,104,107
საკუთარი კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		6,087,104	10,540,326
		10,081,445	14, 646, 432



სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		2020	2019
	შენ	წლის	წლის
ამონაგები	9	61,040,342	67,170,485
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		57,328,530	60,995,146
საერთო მოგება		3,711,813	6,175,339
საოპერაციო ხარჯები	10	4,890,337	1,071,754
მოგება ოპერაციებიდან		(1,178,524)	5,103,585
სხვა მოგება		56,053	11,915
სხვა ხარჯი		50,000	-
ფინანსური მოგება	11	(274,916)	(594,258)
ფინანსური ხარჯები	12	526,908	201,224
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(1,424,462)	5,508,534
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის მოგება		(1,424,462)	5,508,534
დივიდენდები		3,028,760	-
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		(4,453,222)	5,508,534
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი) წლის დასაწყისში		10,540,326	5,031,792
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი) წლის ბოლოს		6,087,104	10,540,326



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერი


	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება
31 დეკემბერი, 2018	2,000	5,031,792
მოგება/(ზარალი)	-	5,508,534
31 დეკემბერი, 2019	2,000	10,540,326
მოგება/(ზარალი)	-	(1,424,462)
გაცემული დივიდენდები		3,028,760
31 დეკემბერი, 2020	2,000	6,087,104



ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		2020	2019
	შენ	წლის	წლის
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიმდინარე წლის მოგება		(1,424,462)	5,508,534
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		10,774	12,145
საოპერაციო მოგება სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		(1,413,688)	5,520,679
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება / (ზრდა)		(651,978)	54,996
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება / (ზრდა)		6,985,423	(6,287,438)
გადახდილი ავანსები შემცირება / (ზრდა)		(1,964,399)	(1,920,054)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა / (შემცირება)		(252,630)	19,750
პროცენტის და სესხის ვალდებულების ზრდა / (შემცირება)		(1,331)	721,294
გადასახადების ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		285,998	(339,385)
ფულადი სახსრები გენერირებული საოპერაციო საქმიანობიდან		2,987,395	(2,230,157)
გადახდილი პროცენტები		(189,978)	(103,071)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2,797,418	(2,333,228)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	(9,638)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		414	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		414	(9,638)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(2,982,585)	-
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		(2,982,585)	-
ფულადი სახსრებისა და ფულადი ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)		(184,753)	(2,342,866)
ფულადი სახსრებისა და ფულადი ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის		191,504	2,534,370
ფულადი სახსრებისა და ფულადი ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის		6,750	191,504



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია დაარსდა 2004 წელს. იგი დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს ბათუმში, ტბეთის ქუჩა # 5-ში. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სურსათის იმპორტი და საბითუმო ვაჭრობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფუნქციონალური და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რომელიც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას და მიმდინარე ანგარიშგების ვალუტას.

ამონაგების აღიარება

(ა) საქონლის რეალიზაცია

ამონაგების აღიარება ხდება მას შემდეგ რაც ხდება საქონლის მიწოდება და მნიშვნელოვანი რისკების და საკუთრების უფლება გადაეცემა მყიდველს.

(ც) საპროცენტო მოგება

საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობასთან (ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით. ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის საგადასახადო მოგებას, აღიარდება გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს საგადასახადო მოგებას, ასევე ყველა გამოუყენებელ საგადასახადო ზარალთან, ან გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტთან მიმართებით. გადავადებული საგადასახადო

აქტივების შეფასება ხდება მაქსიმალური შესაძლო თანხით, რომლის აღდგენაც უფრო მოსალოდნელია, ვიდრე არა, მიმდინარე საგადასახადო მოგებისა, თუ შეფასებული მომავალი საგადასახადო მოგების საფუძველზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის და მისი კორექტირება ხდება მომავალი საგადასახადო მოგების მიმდინარე შეფასების ასახვის მიზნით. ნებისმიერი კორექტირების თანხა აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

გადავადებული გადასახადი გაიანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც, სავარაუდოდ, გავრცელდება იმ პერიოდების საგადასახადო მოგებაზე (საგადასახადო ზარალზე), როდესაც საწარმო მოელის გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენებას, ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაფარვას და უკვე ძალაში შესულია, ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო თარიღისთვის.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში აღიარებულია, როგორც საწესდებო კაპიტალი, რათა მითითებულ იქნას მესაკუთრეთა შენატანი მფლობელის კაპიტალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა

ოფისის მოწყობილობები

ავეჯი

სხვა

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო

მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება “საშუალო შეწონილი” მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღმატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს

თანხები არ არის ამოღებული. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა ბონუსები

თანამშრომელთა მოკლევადიანი ბონუსების თანხა (მომსახურების გადასახადიდან 12 თვის განმავლობაში გადასახდელი, როგორიცაა შვებულების ანაზღაურება და ავადმყოფი შვებულება, პრემიები და არაფულადი შეღავათები, როგორიცაა სამედიცინო დახმარება), აღიარებულია იმ პერიოდში, როდესაც მომსახურების გაწევა ხდება და არ ფასდება.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტის მიერ არ მომხდარა მნიშვნელოვანი დაშვებები. ამასთან, მენეჯმენტს უნდა განეხორციელებინა ძირითადი დაშვებები გაუფასურებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებებთან დაკავშირებით. ამგვარი დებიტორული სახსრები პერიოდის ბოლოსთვის შეფასებულია 882,754 ლარად.

4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში დაფიქსირდა შემდეგი ცვლილებები:

	2020	2019
	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	1	1
ფულადი სახსრები ბანკში	6,749	191,503
სულ	6,750	191,504

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში დაფიქსირდა შემდეგი ცვლილებები:

	2020	2019
	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	2,468,793	1,634,810
უიმედო ვალების რეზერვი	(882,754)	(700,749)
სულ	1,586,038	934,061

6. პირითადი საშუალებები

31 დეკემბრის მდგომარეობით პირითად საშუალებებში დაფიქსირდა შემდეგი ცვლილებები:

დასახელება	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობები	ოფისის მოწყობილობები	ავეჯი	ავტომობილები	სხვა	სულ
თვითღირებულება						
31 დეკემბერი, 2018	21,608	12,643		88,456	7,370	130,077
შემოსვლა	6,801	-	2,286	-	551	9,638
გასვლა						
31 დეკემბერი, 2019	28,409	12,643	2,286	88,456	7,921	139,716
შემოსვლა	-	12,230	-	-	-	12,230
გასვლა	-	(12,643)	-	-	-	(12,643)
31 დეკემბერი, 2020	28,409	12,230	2,286	88,456	7,921	139,302
დაგრძელებული გაუფასურება						
31 დეკემბერი, 2018	14,306	8,302	-	48,022	4,907	75,538
წლიური ცვლილება	2,458	1,179	318	7,083	900	11,938
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	16,764	9,481	318	55,105	5,807	87,476
წლიური ცვლილება	1,861	824	366	6,574	892	10,518
გასვლა						
31 დეკემბერი, 2020	18,625	10,305	684	61,680	6,700	97,994
სამაღალსი ღირებულება						
31 დეკემბერი, 2019	11,645	3,162	1,968	33,351	2,113	52,240
31 დეკემბერი, 2020	9,784	1,924	1,602	26,776	1,221	41,308

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში დაფიქსირდა შემდეგი ცვლილებები:

	2020	2019
	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	514,883	310,459
სხვა ვალდებულებები	3,071	460,124
სულ	517,954	770,584

8. პროცენტის და სესხის ვალდებულებები

31 დეკემბრის მდგომარეობით პროცენტის და სესხის ვალდებულებებში დაფიქსირდა შემდეგი ცვლილებები:

	2020	2019
	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
მოკლევადიანი სესხები	3,142,214	3,333,523
სულ	3,142,214	3,333,523

9. ამონაგები

31 დეკემბრით დასრულებულ წელს იყო შემდეგი ამონაგები:

	2020	2019
	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
საქონლის გაყიდვა	61,040,342	67,170,485
სულ	61,040,342	67,170,485

10. საოპერაციო ხარჯები

31 დეკემბრით დასრულებულ წელს იყო შემდეგი საოპერაციო ხარჯები:

	2020	2019
	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
უიმედო სავაჭრო მოთხოვნების ხარჯი	3,395,021	85,488
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	752,189	769,780
საგადასახადო ხარჯი	491,117	549
შრომის ანაზღაურების ხარჯი	138,394	139,027
საკონსულტაციო ხარჯები	36,658	-
იჯარის ხარჯი	34,155	25,576
საბანკო ხარჯები	11,518	11,169
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	10,774	12,145
სხვა ხარჯები	20,511	28,018
სულ	4,890,337	1,071,754

11. ფინანსური მოგება

31 დეკემბრით დასრულებულ წელს იყო შემდეგი ფინანსური მოგება:

	2020	2019
	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
დადებითი საკურსო სხვაობები	274,916	594,258
სულ	274,916	594,258

12. ფინანსური ხარჯები

31 დეკემბრით დასრულებულ წელს იყო შემდეგი ფინანსური დანახარჯები:

	2020	2019
	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
უარყოფითი საკურსო სხვაობები	336,930	98,153
საპროცენტო ხარჯი	189,978	103,071
სულ	526,908	201,224
